

სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის გარდა;
 - ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
 - სტუდენტსა და დაწესებულებას შორის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების (სწავლის საფასურის გადაუხდელობა) დარღვევა;
 - აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელიობა;
 - სასწავლო უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებით დადგენილი სხვა შემთხვევები.
- სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია დ ქვეპუნქტის საფუძველზე სტატუსის შეჩერებამდე გააფრთხილოს სტუდენტი მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რისთვისაც გამოიყენებს სტუდენტთან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებს, და სტუდენტის ინიციატივით იმსჯელებს არსებული დავალიანების გონივრულ ვადაში დაფარვის შესახებ, ხოლო ამ ინიციატივის არარსებობის ან/და სტუდენტთან კომუნიკაციის მიუღწევლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეუჩეროს სტუდენტს სტატუსი.
- სტუდენტის სტატუსის შეჩერებად მიიჩნევა დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;
- სტუდენტის სტატუსის შეჩერების მანძილზე, დაწესებულება და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე;
- შეჩერებული სტატუსის აღდგენის შემდეგ სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
- სტუდენტის სტატუსის შეჩერებული პირი სარგებლობს შიდა და გარე მობილობის უფლებით.